პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

ქალაქი ბათუმი ____ დეკემბერი, 2024 წ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის ქუჩა N152ბ-ში არსებული მიწის ნაკვეთებიდან (ს/კ 05.31.04.139 და ს/კ 05.31.04.138) ნაწილების სერვიტუტის უფლებით დატვირთვასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, მამია ვარშანიძის ქუჩა N152ბ-ში, მდებარე 89,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 05.31.04.139) 2,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და ქალაქ ბათუმში, მამია ვარშანიძის ქუჩა N152ბ-ში, მდებარე 396,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 05.31.04.138) 63,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ფიზიკური პირის საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.31.04.857) სასარგებლოდ 2 (ორი) წლის ვადით უსაყიდლო სერვიტუტის უფლებით დატვირთვის თაობაზე.

2. წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონება ფიზიკური პირის საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.31.04.857) სასარგებლოდ უსასყიდლო სერვიტუტის უფლებით დაიტვირთოს იმ პირობით, რომ ფიზიკური პირი არ შეზღუდავს მასზე, როგორც ქვეითად მოსიარულეთა, ასევე სხვისი სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებას, ასევე, იგი განახორციელებს მამია ვარშანიძის ქუჩის რეაბილიტაციის დროს ხიდისა და სანიაღვრე არხის მშენებლობისას მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 05.31.04.857) გამოყენებული 23,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ უსასყიდლო, უვადო სერვიტუტის უფლებით დატვირთვას.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართ-ლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. წინამდებარე განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი თავდგირიძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის ქუჩა N152ბ-ში არსებული მიწის ნაკვეთებიდან (ს/კ 05.31.04.139 და ს/კ 05.31.04.138) ნაწილების სერვიტუტის უფლებით დატვირთვასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2024 წლის 16 ოქტომბერს წარმოდგენილია ფიზიკური პირის N19/1424290396-14 განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ N05.31.04.857 საკადასტრო კოდით მის კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან მისასვლელად ესაჭიროება N19/1424290396-14 განცხადებაზე თანდართული საკადასტრო აგეგმვითი/აზომვით ნახაზზე მონიშნული ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების (ს/კ: 05.31.04.138 და ს/კ: 05.31.04.139) ნაწილზე გზის სტატუსით მინიჭება. ამასთან, როგორც ცნობილია მამია ვარშანიძის ქუჩის რეაბილიტაციის დროს ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის ქუჩა N154-ში ფიზიკური პირის კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ 05.31.04.857) ნაწილზე 23 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განხორციელდა სანიაღვრე არხის მოწყობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებულ ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის ქუჩა N154-ში მდებარე 838,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.31.04.857) სასაგებლოდ 2 წლის ვადით, უსასყიდლოდ სერვიტუტის უფლებით დაიტვირთოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, მამია ვარშანიძის ქუჩა N152ბ-ში, მდებარე 89,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 05.31.04.139) 2,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და ქალაქ ბათუმში, მამია ვარშანიძის ქუჩა N152ბ-ში, მდებარე 396,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 05.31.04.138) 63,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

N05.31.04.857 საკადასტრო კოდით ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.31.04.857) სასაგებლოდ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, მიწის ნაკვეთებიდან (ს.კ. 05.31.04.139 და ს.კ. 05.31.04.138) ნაწილის 02 წლის ვადით, უსასყიდლოდ სერვიტუტის უფლებით დატვირთვა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელოება ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე გავლენას არ მოახდენს

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ა(ა)იპ ,,ბათუმის სპორტული ცენტრი“

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის უფროსი **დავით კოპინაძე**